დიდება საბჭოთა ახალგაზრდობას!

პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 77 (1247) | კვირა, 29 ივნისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიჯაბუკე—იმედი

დღეს, 29 ივნისს, პირველად ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება საბჭოთა ახალგაზრდობის დღე. მიმდინარე წლის 7 თებერვალს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის დღის საზეიმო აღნიშვნის შესახებ.

საბჭოთა ახალგაზრდობის მრავალმილიონიანი არმია ჩვენი ქვეყნის უმთავრესი უძვირფასესი სიმდიდრეა. მის მადლიან, ჯანღონით აღსავსე მარჯვენას ელის კაცობრიობის საკეთილდღეოდ წარმართული გრანდიოზული მშენებლობა, რომელსაც დასაბამი საბჭოთის მიწა-წყალზე მიეცა. ყველგან, სადაც კი ამ დიადი შემოქმედებითი შრომის პათოსი ჩქეფს, ყველგან, სადაც კი საბჭოთა ადამიანები კომუნიზმის შესანიშნავი შენობის აგებისათვის იღვწიან, მხნედ ისმის ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის ხმაც, ეს დიდი წვლილი განსაკუთრებით იგრძნობა ჩვენს სპორტულ ცხოვრებაში, ვინაიდან სპორტი, როგორც იტყვიან, ახალგაზრდებისა და მამაცთა საქმეა.

ახალგაზრდობა — ეს არის ჩვენი სპორტისა და ფიზკულტურული მოძრაობის მომავალი წარმატებანი. ახალგაზრდობა — ჩვენი მუშაობის აღმავლობის, ზრდისა და მასობრივობის საფუძველია. ისევე, როგორც ყველა სხვა დარგსა და სფეროში — მომავალი ბრწყინვალე გამარჯვებები, ახალი რეკორდები, ჩვენი უმდიდრესი სპორტული ტრადიციების ღირსეული განვითარება ახალგაზრდობის მადლიან მარჯვენას მოელის. ყოველივე ამის გამო, ცხადია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდებთან ჩვენი სპორტული ორგანიზაციების, კოლექტივებისა და მწვრთნელების სწორ მუშაობას, მათს გულისხმიერ დამოკიდებულებას.

ამ მხრივ განსაკუთრებული ვალი აწევთ აგრეთვე ჩვენს მოწინავე, გამოცდილ სპორტსმენებს, რომელთა ადგილს ხვალ ახალი სახელები, შემცველი თაობიდან წამოსული წარმომადგენლები დაიკავებენ. და სწორედ იმ მიზნით, რომ ახალმა ცვლამ ღირსეულად ზიდოს წინამორბედთა „ტვირთი“, ღირსეულად განავრცოს მათი წარმატებები, საჭიროა უფროსი თაობის, გამობრძმედილ ოსტატთა თაობის დაუღალავი ზრუნვა ახალგაზრდობისათვის თავისი მდიდარი გამოცდილების გაზიარებისათვის. მაშინ ჩვენ აღარ ვიგრძნობთ იმ სამწუხარო ხარვეზებს, რომელიც რომელიმე გამოჩენილი სპორტსმენის სარბიელიდან ჩამოსვლის შემდეგ გვეწვევა ხოლმე. აი, თუნდაც, რა სასიხარულო, სასიამოვნო იყო ერევნიდან მოსული ცნობა, რომ სამი რესპუბლიკის მძლეოსანთა ტრადიციულ მატჩში სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დვალიშვილის შესანიშნავ შედეგებს, ხუთჭიდში და სიგრძეზე ხტომაში კვალდაკვალ მიჰყვებოდა ჩვენივე რესპუბლიკის წარმომადგენელი, თბილისელი მოსწავლე ლ. იევლევა, რომელმაც ამავე სახეობებში შესანიშნავი შედეგები აჩვენა და მეორე ადგილები დაიკავა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბრწყინვალე სპორტსმენს ბრწყინვალე ცვლა ეზრდება და ამაში არა მარტო მწვრთნელებს, არამედ უფროსი თაობის კოლეგებსაც მიუძღვით წვლილი. მაგრამ განა ასე ხდება ყველგან? აი, თუნდაც წყალში მხტომელთა მაგალითი, რომლებმაც თავდაპირველად საკმაოდ მაღალი შედეგები აჩვენეს, შემდეგ კი სამარცხვინოდ ჩამორჩნენ. რას უნდა მიეწეროს ეს, თუ არა მომავალი ცვლისადმი უგულისყურო დამოკიდებულებას და მწვრთნელების „გადაყოლას“ მხოლოდ მაღალსაკოვან სპორტსმენებზე? ან კიდევ, განა გაცილებით უფრო უკეთესი მდგომარეობა არ გვექნებოდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა ახალგაზრდულ გუნდში, რომ სათანადო რეზერვზე დროულად გვეზრუნა?

ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობა საყოველთაო ზრუნვითაა გარემოსილი. მასზეა დამოკიდებული ჩვენი ცხოვრების ყველა უბნის მომავალი. იგივე ითქმის სპორტზეც. მშობლიური კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი სახელმწიფოს ამ დიდი ზრუნვის დადასტურებაა სწორედ ის მრავალრიცხოვანი ღონისძიებები, რომელთა მიზანია ჩვენი ძვირფასი ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობა, მისი წიაღიდან ახალი სპორტული ძალების გამოვლინება და სახელმოხვეჭილ სპორტსმენთათვის ღირსეული ცვლის შემზადება. სწორედ ამ მიზნებს ემსახურება მომდინარე წელს გამიზნული მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა და სტუდენტთა სპორტული თამაშები. ყველა ამ ღონისძიებაში ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენების მიერ მოპოვებული წარმატებები იქნება ღირსეული პასუხი იმ დიად ზრუნვაზე, რომელსაც მის მიმართ იჩენენ პარტია, მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი!

გენტის ტურნირი

გენტში დამთავრდა ბრიუსელის მსოფლიო გამოფენისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. პირველ ტურში საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდნენ ჰოლანდიელი წყალბურთელები. კურნერომ და კარტაშოვმა, რომლებიც ჰოლანდიელთა მეკარის პირისპირ დარჩნენ, ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა. პირველი ბურთი მოწინააღმდეგის კარში გარტანა ნ. გვახარიამ (4-მეტრიანი საჯარიმო), რასაც მალე საპასუხო გოლი მოჰყვა, ხოლო შემდეგ — მეორეც, ერთ-ერთი შეტევის დროს პ. შშვენიერაძემ შესანიშნავად მოატყუა მცველები და ანგარიში გაათანაბრა.

პირველი ნახევარი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ — 3:2.

მეორე ნახევარში ნ. გვახარიამ ანგარიში გაზარდა 4:2-მდე. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 4:3. შემდეგ მატჩებში საბჭოთა კავშირის გუნდმა დაამარცხა ბელგია — 6:0 საფრანგეთი — 8:2, პოლონეთი — 8:0. ფინალში ასევე დაუმარცხებლად გავიდნენ იუგოსლავები. ფინალური მატჩი საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ჩაატარა თავის შესაძლებლობაზე დაბლა და განიცადა დამარცხება ანგარიშით 2:6. პირველი ადგილი ერგო იუგოსლავიის გუნდს.

ამხანაგური საერთაშორისო მატჩის ჩასატარებლად თბილისში ჩამოვიდა პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივი „პოლონია“ (ქ. ბიტომი).

ხვალ „პოლონია“ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდება მასპინძელთა გუნდს.

სურათზე: „პოლონიას“ ფეხბურთელები თბილისის აეროდრომზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დამთავრდა ამერიკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის სტუდენტთა შეხვედრები ფარიკაობაში

პირველი ფინალისტები

საქართველოს გუნდების უპირატესობა სტუმრებთან შედარებით, როგორც ესპადრონში, ისე დაშნით ბრძოლაში აშკარა იყო.

ესპადრონში პირველობა ფიზკულტურის ინსტიტუტის მოფარიკაველებმა დაისაკუთრეს და საერთო პირველობის პრეტენდენტები გახდნენ, მაგრამ მათ ბოლო იარაღით ბრძოლაშიც (დაშნა) პირველი ადგილი უნდა დაეკავებინათ, ვინაიდან დებულების თანახმად ზონაში გამარჯვებული ორი გუნდი ფინალში გადიოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველ ადგილს ფიზკულტურის, ხოლო მეორეს — პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაიკავებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფინალში მხოლოდ ერთი გუნდი ხვდებოდა — პოლიტექნიკური ინსტიტუტისა.

ამ მდგომარეობამ განაპირობა ფიზკულტურის მომავალი სპეციალისტების ენერგიული და მონდომებული ბრძოლა გამარჯვების მოპოვებისათვის. შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. გუნდმა მოიგო დაშნით ბრძოლა და მასთან ერთად ხუთი ქულით საერთო პირველი ადგილიც. მეორე საპრიზო ადგილი და ფინალში მონაწილეობის უფლება წილად ხვდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდს.

არანაკლებ დაძაბული და საინტერესო გამოდგა პირადი პირველობა, რადგან ცალკეულ იარაღებზე დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ თითო გამარჯვებული ინარჩუნებდა.

პირადი პირველობის ფინალში გავიდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები: სპორტის ოსტატი მ. სახვაძე, რომელსაც თავის ჯგუფში ხუთი შეხვედრიდან ხუთივე მოგება ჰქონდა, კონკურსგარეშე მონაწილეები გ. გოგელია და ჯ. მოსიძე და სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ა. აკოპიანი.

მეორე ჯგუფიდან გამარჯვებათა თანაბარი რაოდენობით ფინალში მოხვდნენ ჯ. მაჭავარიანი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), და ნ. ასათიანი (საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი). ფინალურმა ბრძოლებმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მოგებათა თანაბარი რაოდენობა (4:4) აღმოაჩნდა ოთხ მებრძოლს. გამარჯვებულის გამოსავლენებლად დაინიშნა „ფინალის ფინალი“ ჯ. მაჭავარიანის, მ. სახვაძის, ნ. ასათიანსა და გ. გოგელიას შორის. თანაბართა ბრძოლაში ძნელ, მაგრამ დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია ჯ. მაჭავარიანმა.

ელექტროდაშნით ბრძოლის ფინალში გავიდა 10 მონაწილე. მათ შორის ერთი სომხეთიდან, სამი აზერბაიჯანიდან და ექვსი საქართველოდან.

9 შეხვედრის ჩატარება არც ისე იოლი საქმე იყო და თვითეულმა მებრძოლმა თავისი ძალები შეძლებისდაგვარად გაანაწილა 9 შეხვედრისათვის. ეს განაწილება ყველაზე რაციონალურად კონკურსგარეშე მონაწილე სპორტის ოსტატმა რ. ციერკიძემ მოახერხა და ყველაზე მეტი შეხვედრაც მოიგო. ჩათვლაში პირველი ადგილი დაისაკუთრა სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ჩერნიკოვმა. მეორე ადგილზე გამოვიდა აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, პირველთანრიგოსანი ა. მამედოვი. მესამე ადგილზე (ცაგარელთან დამატებით შეხვედრის შედეგად) აღმოჩნდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გერმანიის საერთაშორისო ტურნირის მოგებული გ. კოსტავა.

ოთხდღიანი ბრძოლების შედეგად დასკვნით ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებმა.

პირად პირველობაში ცალკე იარაღების მიხედვით სტუდენტთა თამაშების ფინალში მოხვდნენ რაპირაში: ქალებიდან—ი. ესაიაშვილი, ვაჟებიდან—ი. ოსიპოვი (ორივე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან), ესპადრონში — ჯ. მაჭავარიანი (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან) და დაშნით ბრძოლაში — ვ. ჩერნიკოვი (სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი).

ა. ბარნოვი

შესარჩევ შეჯიბრებაზე

პრაღის მიდამოებში ამას წინათ ჩატარდა მსოფლიო პირველობის შესარჩევი შეჯიბრება საპარაშუტო სპორტში. ჩეხმა პარაშუტისტებმა ამ შეჯიბრებაზე 1500 მეტრიდან ღამით ჯგუფურ ხტომაში დაამყარეს ახალი მსოფლიო რეკორდი. ჯგუფის საშუალო დაშორება ცენტრიდან, უდრის 19,01 მეტრს.



საქართველოს 1958 წლის ჩემპიონები ცხენოსნობის კლასიკურ სახეობაში მარცხნიდან: ა. დგებუაძე, მ. ერიხთავი, რ. ლაგვილავა, ა. ბარანოვსკი, ა. მოხერი

საუკეთესო წყალში მხტომელები შეიკრიბებიან თბილისში

გ. მაზუროვი,

წყალში ხტომის ხაკავშირო სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მხოლოდ ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც წყალში ხტომა გამოეყო ცურვის სახეობებს და დამოუკიდებელი „არსებობა" დაიწყო. ამ მოკლე ხნის მანძილზე მან ჩვენს ახალგაზრდობაში საკმაოდ ფართო განვითარება და პოპულარობა მოიხვეჭა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა 1956 წლის სპარტაკიადაზე, როცა წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში ყველა რესპუბლიკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადაზე წყალში ხტომაში 200 მონაწილიდან ყველა პირველთანრიგოსანი და სპორტის ოსტატი იყო. მაგრამ საქმე მხოლოდ რეცხვში როდია. ამ ხნის განმავლობაში მკვეთრად ამაღლდა ჩვენი მოწინავე სპორტსმენების სპორტული ოსტატობის დონე. მარტო 1957 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სპორტულ საზოგადოებებში აღიზარდა 23 ახალი სპორტის ოსტატი, ამასთან, ძლიერ ამაღლდა რთული ხტომების შესრულების ხარისხი.

ჩვენი წყალში მხტომელების მონაწილეობამ XVI ოლიმპიურ თამაშებში, მესამე საერთაშორისო მეგობრულ სპორტულ თამაშებში, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების საუკეთესო სპორტსმენებთან შეხვედრებმა კეთილმყოფელი გავლენა მოახდინეს და დიდი როლი ითამაშეს ჩვენს ქვეყანაში სპორტის ამ სახეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საკმარისია გავიხსენოთ, რომ გასულ წელს საბჭოთა წყალში მხტომელებმა თავიანთი ძალები გამოსცადეს 16 ქვეყნის „კოლეგებთან", მათ შორის ავსტრალიის, ინგლისის, ეგვიპტის, ავსტრიის, იტალიის, ფინეთის, მექსიკისა და სხვა სპორტსმენებთან. ამ შეხვედრებში ცხადი შეიქმნა, რომ ჩვენი წყალში მხტომელები უძლიერესთა შორის არიან.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ამ სახეობაში მოძმე რესპუბლიკების ბევრ ქალაქში სასწავლო-სპორტული მუშაობა ჯერ კიდევ შეტად დაბალ დონეზე დგას. ცნობილია, მაგალითად, რომ საქართველოს ფიზკულტურულმა კოლექტივებმა თავის დროზე წარმატებით დაიწყეს წყალში ხტომის განვითარება და პირველ ხანებში კარგ შედეგებსაც მიაღწიეს: ხალხთა სპარტაკიადაზე მათ მეხუთე ადგილი დაიკავეს და ჩამორჩნენ მხოლოდ რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის სპორტსმენებს. მაშინ ჩვენი ქვეყნის 20 უძლიერეს წყალში მხტომელს შორის შეივიდნენ საქართველოს გუნდის წარმომადგენლებიც: ტ. ინწკირველი, გ. გასპარიანი, მ. ეროგინა, რ. დიაჩენკო. მაგრამ, გავიდა სულ ეროთი წელი და საბჭოთა კავშირის გასულ პირველობაზე საქართველოს წყალში მხტომელებმა რამდენიმე ადგილით უკან გადაინაცვლეს. რესპუბლიკის სპორტულ ორგანიზაციათა ზოგიერთი მუშაკი ამ ფაქტს გუნდიდან რამდენიმე სპორტსმენის წასვლით ხსნის. მაგრამ გახა ძხოლოდ 3-4 სპორტსძეხზეა დამოკიდებული რესპუბლიკის სპორტული ძალა სპორტის ამ სახეობაში?

ჩვენის აზრით, ამის ძირითადი მიზეზია ხარვეზები საქართველოს ბევრ სპორტულ ორგანიზაციის მუშაობაში. განა საიდუმლოებაა ფაქტი, რომ რესპუბლიკის შავიზღვისპირა 400 კილომეტრის მანძილზე მხოლოდ... 2 სახტომი კოშკია და ^არც ერთი რამდენადმე მაინც კეთილმოწყობილი ტრამპლინი? ისეთ სპორტსაზოგადოებებს, როგორიცაა „დინამო", „სპარტაკი", „შრომითი რეზერვები", „ლოკომოტივი" და სხვა წლების განმავლობაში თითქმის არაფერი გაუკეთებიათ თავიანთ რესპუბლიკურ ორგანიზაციებში სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის.

19-22 ივლისს თბილისში ჩატარდება საბჭოთა კავშირის პირველობა წყალში ხტომაში. შარშან ეს შეჯიბრება ასტრახანში მოეწყო და გამარჯვება მოსკოვის გუნდს მოუტანა. შემდგომი ადგილები ასე განაწილდა: უკრაინა, ლენინგრადი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, სომხეთი, უზბეკეთი, საქართველო, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ლიტვა, მოლდავეთი და ესტონეთი.

მომდინარე წლის ჩემპიონატი ყველა წინა პირველობისაგან განსხვავდება იმით, რომ ჩათვლაში შევა ჭაბუკებისა და გოგონების შედეგებიც და გათამაშდება პირველობა ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ჩვენი ქვეყნის პირველობის თბილისში ჩატარება რესპუბლიკის სპორტულმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ სპორტის ამ სახეობაში მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. საჭიროა ყველა სპორტსაზოგადოება შეუდგეს საკუთარი კოშკებისა და ტრამპლინების მშენებლობას და ამ ბაზებზე ფართოდ მოიზიდოს ახალგაზრდობა. საგრძნობლად უნდა გადახალისდეს ნაკრები გუნდის შემადგენლობა თუნდაც ჯერ კიდევ მოუმზადებელი სპორტსმენებით, რომლებიც კარგს მომავალს გვიქადიან. მწვრთნელებმა თავი უნდა დაანებონ ერთიდაიგივე ^გგუფთან „შებერების" პრაქტიკას და ფართოდ გაშალონ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა.

წინ კიდევ ბევრი საინტერესო ასპარეზობაა და ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ საქართველოს წყალში მხტომელებს მაღალი კლასის შედეგები.

პიონერთა რაზმეულების შეჯიბრება

ამას წინათ ორჯონიკიძეში, ჩატარდა სარაიონო პიონერთა რაზმეულების შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს.

გამორბენით სიგრძეზე ხტომაში ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ჩერქეზიშვილმა—4 მ 20 სმ (I საშუალო სკოლა), ხოლო გოგონებს შორის ცხვედაძემ (შედეგი 3 მ 66 სმ. ლენინის საშუალო სკოლა).

სიმაღლეზე ხტომაში ჭაბუკთაგან საუკეთესო იყო გრიგალაშვილი (ხევის საშუალო სკოლა), რომელმაც დაძლია 1 მ 25 სმ.

60 მეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი იყო ჭიპაშვილი — 8,2 (1-ლი საშუალო სკოლა). გოგონათა შორის გაიმარჯვა ციქარიშვილმა — 9,1 (ხუნევის საშუალო სკოლა).

ამშთ ნორმატივი ჩაბარა 155-მა პიონერმა. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავა დაბა ორჯონიკიძის პირველი საშუალო სკოლის პიონერთა რაზმეულმა.

ფ. სახვაძე.

პირველობა საშში

კასპში დამთავრდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს 1958 წლის პირველობა საშში.

პირველი ადგილი დაისაკუთრა იგოეთელმა ვ. წიკლაურმა, რომელმაც 17 შესაძლებლიდან დააგროვა 16 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ^. თანდაშვილი (კასპი), ხოლო მესამეზე — კ. ქვრივიშვილი (ყარაღაჯი).

ვ. ფგელაძე.

სამატჩო შეხვედრა

ჩატარდა სამატჩო შეხვედრა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ზესტაფონისა და ახალციხის რაიონების ნაკრებ გუნდებს შორის ციმძიმეთა აწევაში, რომელშიც მონაწილეობდა ყველა წონითი კატეგორიის 14 სპორტსმენი.

ახალციხელმა შტანგისტებმა, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი ფიზიკური მომზადებით და ტექნიკით, დამსახურებულად მოუგეს ზესტაფონელებს ანგარიშით 6:1.

ს. ტალახაძე.

მოსკოვი — ქუთაისი

ქუთაისის კალათბურთის სტადიონზე მოეწყო საინტერესო შეჯიბრება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტრუდისა" და ქუთაისის ნაკრები გუნდები.

თავისუფალ ჭიდაობაში ქუთაისის გუნდს პირველი გამარჯვება ^ოუტანა შეურილაძემ, რომელმაც ტექნიკურად სწორად ააგო ბრძოლა ვორობიოვთან და გაიმარჯვა. მომდევნო წონითს კატეგორიაშიც უპირატესობა ქართველი მოჭიდავის მხარეს იყო — მაისურაძემ ქულებით დაამარცხა ბორისოვი. დაძაბული გამოდგა ასათიანისა და პონომარენკოს შეხვედრა. პირველივე წუთებიდან აშკარა გახდა ქუთაისელის უპირატესობა, ^აგრამ შემდგომში მოსკოველმა შეძლო ძალების მობილიზება და მიაღწია ფრეს.

გობეჯიშვილმა 7 წუთში დაამარცხა გარბარი. სპორტის ოსტატ კუპცოვისა და შაშუაშვილის ბრძოლა დამთავრდა ფრედ. ამრიგად, თავისუფალ ჭიდაობაში გამარჯვება წილად ხვდა ქუთაისის გუნდს.

არანაკლები ინტერესი გამოიწვია შეხვედრებმა კლასიკურ ჭიდაობაში. აი მათი ტექნიკური ანგარიშიც: ჭეიშვილმა დაამარცხა — ზაეორკინი, ნუცუბიძემ — შიროკოვი, ანტონოვმა — ლეკვეიშვილი, ბურილინმა — ასათიანი, გობეჯიშვილმა — ამნიაშვილი (მოსკოვი), ^ინაურიძემ—პოძიუნსკი. ახალგაზრდა სპორტის ოსტატმა ა. ჩიხლაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სპორტის დამსახურებულ ოსტატ ბ. გურევიჩს და შეხვედრა ფრედ დაამთავრა.

კლასიკურ ჭიდაობაშიც გამარჯვება ქუთაისელებს დარჩათ.

ზ. ^ესანგისერი.

კოლმეურნე სპორტსმენთა შორის

მახარაძეში ჩატარდა „კოლმეურნის" რაიონული პირველობა მძლეოსნობაში. მასში მონაწილეობდა 14 გუნდის 400 სპორტსმენი. შეჯიბრება მასობრივი იყო, არა მარტო მონაწილეთა მხრივ, არამედ სპორტულ სახეობათა რაოდენობითაც: კოლმეურნე სპორტსმენები 19 სახეობაში ^ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამ საინტერესო ასპარეზობამ 2 მეორეთანრიგოსანი, 14 მესამეთანრიგოსანი და 20 ჭაბუკთა თანრიგოსანი გამოავლინა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა მერიის საკოლმეურნეო გუნდმა, მეორე — ნატანების, ხოლო მესამე — შრომის გუნდმა.

გ. ბურჭულაძე.

სოხუმი

ჩანაწერები ჭიდაობიდან და რაბიზნეგში

დამთავრდა ჭაბუკთა შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში აფხაზეთის პირველობაზე. გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა სოხუმის მოჭიდავეთა ნაკრებმა გუნდმა. წონითი კატეგორიებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ: დ. ურიდია, თ. კვარაცხელია, კ. ზეპილოვი (ყველა სოხუმიდან), ო. კიკაბიძე, ფ. ჩოპოკიანი (ორივე — გულრიფშის რაიონი) და რ. ^ჯანაშია (გალის რაიონი).

ჭაბუკმა მოჭიდავეებმა შეჯიბრების დროს კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება გამოავლინეს.

• • •

სასკოლო არდადეგების დადგომასთან ერთად გაჩაღდა მოსწავლეთა ტურისტული სეზონი.

საინტერესო მარშრუტი შეარჩიეს სტალინგრადის მოსწავლეებმა: შავიზღვისპირა სანაპიროები — საქართველოს დედაქალაქი — თბილისი, — საქართველოს სამხედრო გზა — ჩრდილოეთ კავკასია.

ამას წინათ სტალინგრადელ პოსწავლე-ტურისტთა ^გგუფი სოხუმში ჩამოვიდა. მათ დათვალიერეს კურორტის ღირსშესანიშნაობანი და აღტაცებულნი დარჩნენ ქალაქისა და აფხაზეთის ბუნებით.

რამდენიმე დღის შემდეგ სტალინგრადელებმა განაგრძეს დასახული მარშრუტი.

ჯ. ანთია.

• • •

ხურათზე: სოხუმის სანაპიროზე.

სტუმრად ლატვიაში

ლატვიაში ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად იმყოფებოდა საქართველოს „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ^ალოსანთა ნაკრები გუნდი. შეხვედრა, რომელიც გულთბილ ვითარებაში ჩატარდა, დამთავრდა ლატვიის სპორტსაზოგადოება „ვარპას" შტანგისტთა დამარცხებით — 1:6.

დამტკიცდა მსოფლიო რეკორდი

ვ. ^. ჩკალოვის სახელობის ცენტრალურმა აეროკლუბმა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციისაგან (ფაი) მიიღო ცნობა ლენინგრადელ ავიამოდელისტის ს. ვორობიოვის მსოფლიო რეკორდის დამტკიცების შესახებ.

ვორობიოვის მიერ შექმნილმა ვერტმფრენის მოდელმა ჰორიზონტალურად იფრინა 11.920 მეტრი. ეს შედეგი საგრძნობლად აღემატება უნგრელი გ. ხორვატის ძველ ^მსოფლიო რეკორდს.

მონაწილეობენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის გუნდები

პროგრამაშია



ფრენბურთი
ჩოგბურთი
კალათბურთი
მაგიდის ჩოგბურთი
კრივი
კლასიკური ჭიდაობა
თავისუფალი ჭიდაობა
ძალოსნობა
ველოსიპედი
ცურვა
ტანვარჯიში
მძლეოსნობა

თამაშები გაიხსნება დღეს, „დინამოს“ სტადიონზე, დასაწყისი 18 საათზე.

ᲓᲐᲒᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲔᲥᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲕᲔᲚᲝᲢᲠᲔᲘᲗᲐ

სამწლიანი შესვენების შემდეგ განახლდა ექვსი ქალაქის (მოსკოვი, კიევი, რიგა, თბილისი, ტულა, ლენინგრადი) ველოსიპედისტთა სამატჩო შეხვედრა ტრეკზე. ამ შეჯიბრებას უწინ „მცირე ჩემპიონატს“ უწოდებდნენ, მაგრამ ამჯერად ლენინგრადის ველოტრეკზე თავი მოიყარა საბჭოთა კავშირის ყველა წამყვანმა სპორტსმენმა. ასე რომ თავისი მნიშვნელობით იგი არ ჩამოუვარდებოდა საბჭოთა კავშირის პირველობას.

შეჯიბრება დაიწყო ომნიუმით (სატრეკო სამჭიდი). სპორტსმენები პირველობას ეცილებოდნენ ერთმანეთს სპრინტში, 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლასა და ჯგუფურ რბოლაში 25 წრეზე 5 ფინიშით. გამარჯვებული ვლინდებოდა სამივე სახეობის ჯამში. საუკეთესო შედეგი ჰქონდა ლენინგრადელ ი. მელეხოვს, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა 8 ქულით.

ვაჟთა სპრინტერული რბოლა მოიგო მოსკოველმა რ. ვარგაშკინმა. მან ფინალში დამარცხა თანაგუნდელი ვ. ვასილიევი და ტულის წარმომადგენელი ვ. ლეონოვი. ქალთა შორის ველოსპორტის ამ სახეობაში უძლიერესი იყო მოსკოველი გ. ერმოლაევა.

გუნდური რბოლა ვაჟებისათვის 4 კილომეტრზე საინტერესო ბრძოლის შემდეგ მოიგო ტულის კოლექტივმა (ბ. რომანოვი, ბ. სავოსტინი, ვ. ლეონოვი, ვ. სლიუსარი). ქალები ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ 3-კილომეტრიან დისტანციაზე. აქაც წინ იყვნენ ტულელი ველოსიპედისტები.

წყვილთა რბოლაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კიეველებმა ნ. კოლუშბეტმა და ი. კასნიკოვმა, რომლებმაც მოიგეს კიდეც პირველობა ამ სახეობაში. სლიდერო რბოლაში 25 კილომეტრზე აშკარა იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის, ი. სმირნოვის უპირატესობა (ლიდერი მ. ზაიცევი).

სამდღიანი ბრძოლის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. მოსკოვი — 26 ქულა, 2. ტულა — 33,5 ქულა 3. რიგა — 41,5 ქულა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ლენინგრადის, თბილისისა და კიევის წარმომადგენლები. შეჯიბრების დებულების თანახმად კიევის გუნდი გაისად იბრძოლებს მეორე ჯგუფში, ხოლო მის ნაცვლად უძლიერესთა რიგებში გადმოვა ამ ჯგუფში გამარჯვებული კოლექტივი.

როგორ გამოვიდნენ თბილისელი ველოსიპედისტები სამატჩო შეხვედრაში? პრიზიორთა შორის ჩვენი სპორტსმენების გვარს ვერ შევხვდით, მაგრამ ეს კიდევ არაფერია. მთელ რიგ სახეობებში ჩვენი ველოსიპედისტები უკანასკნელ ადგილებზე აღმოჩნდნენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გუნდის წევრები არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულნი. ასე მაგალითად, სუსტად გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ომნიუმში, წყვილთა რბოლაში და სხვ.

ქალთა გუნდურ (ინდივიდუალურ-კოლომეტრზე) ჩვენმა ველოსიპედისტებმა დაიკავეს [illegible] ადგილი. გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ კ. დიასამიძე, ნ. კლიმენკო, ა. კარპენკო, გ. ატლანოვა. ვაჟთა გუნდურ რბოლაში 4 კილომეტრზე (ჯ. ზანდუკელი, კ. შენგელია, გ. ჯოხაძე და ყ. გეგეჭკორი) საქართველოს სპორტსმენთა კოლექტივი მე-6 ადგილზე იყო. საუკეთესო შედეგი ქალთა სპრინტერულ რბოლაში ჩვენს ველოსიპედისტთა შორის ჰქონდა დიასამიძეს (მეშვიდე ადგილი). კლიმენკოს წილად ხვდა მეცხრე, ხოლო კარპენკოს — მეთოთხმეტე ადგილი. შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ ჩვენი ვაჟები ველოსპორტის ამ სახეობაში.

ერთადერთი საპრიზო ადგილი საქართველოს გუნდს მოუტანეს სტაიერებმა. საღიდერო რბოლაში 25 კილომეტრზე ს. გოცირიძემ (ლიდერი რ. ჩილინგარიანი) დაისაკუთრა მეოთხე ადგილი, ხოლო ვ. ძებნიაურმა (ლიდერი რ. ჩილინგარიანი) — მეშვიდე. ვინაიდან გუნდურ ჩათვლაში შედიოდა ორი მონაწილის შედეგი, ჩვენს სპორტსმენებს საერთო ჯამში მეორე-მესამე ადგილების გაყოფა მოუხდათ ლენინგრადელებთან. საქართველოს წარმომადგენლებმა ტანდემში (შ. შაყულაშვილი ე. შაინოვი) მეოთხე ადგილი დაისაკუთრეს. შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ ჭაბუკი ველოსიპედისტები სპრინტში. გ. გევორქოვი გამოვიდა მესამე ადგილზე, ხოლო გ. გნოლიძე — მეხუთეზე.

შეჯიბრებამ ცხადჰყო, რომ ჩვენი რესპუბლიკის ველოსიპედისტებს (ტრეკზე) არ ეტყობათ წინსვლა, რომ მათი ოსტატობა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება მოსკოვის, ტულის, რიგის, ლენინგრადის სპორტსმენთა მიღწევებს. საჭიროა მეტი მონდომებითა და ენერგიით მუშაობა, რათა თავი დავაღწიოთ ჩამორჩენას და წარმატებით გამოვიდეთ საკავშირო შეჯიბრებებში.

ნ. ᲑᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

უგულოდ, უშვებდნენ ბევრ შეცდომებს (მოწოდების არასწორი მიღება, არასწორი დარტყმები, ნაკლებად მონდომებული თამაში დაცვაში, მიწოდებათა მეტად ხშირი გაფუჭება და სხვ.). და მაინც იგებდნენ, ვინაიდან მოწინააღმდეგეებზე უფრო გამოცდილები და მაღალტექნიკური იყვნენ. სხვათა შორის, როცა ჩვენი ფრენბურთელების მოუნდომებლობაზე ვლაპარაკობთ, უნდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ ეს „ბრალდება“ არ ვრცელდება მხოლოდ ერთ ფრენბურთელზე ი. ბოიკოზე. ბოიკოს ჩვენ ვიცნობთ როგორც უაღრესად თანმიმდევრულ მებრძოლს, რომელიც ყოველთვის ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება თამაშს. ასეთი იყო ბოიკო ამ შეხვედრებშიც. დანარჩენები კი თამაშობდნენ უხალისოდ და მხოლოდ „გაბრაზების“ შემთხვევაში ავლენდნენ მთლიან შესაძლებლობებს.

მაგრამ საკმარისი იყო საქართველოს ფრენბურთელები შეხვედროდნენ ძლიერ მეტოქეს — აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივს (რომლის შემადგენლობაში სპორტის ოსტატები და აზერბაიჯანის ნაკრების წევრები არიან) და ისინი მთლიანად გარდაიქმნენ. აზერბაიჯანელთა „მრისხანე“ გუნდის წინიდგა მონოლითური, ყველა რგოლში შეკრული და უაღრესად ბრძოლისუნარიანი კოლექტივი. ამ თამაშში გუნდის წამყვანი ბირთვი — ი. ბოიკო, ნ. შუსხელიშვილი, ო. დობორჯგინიძე, ლ. ეიგულინი, ო. ხარიტონოვი და გ. აკოფოვი —მოწოდების სიმაღლეზე იდგა და შეუცდომლად მოქმედებდა. თბილისელებმა მოიგეს შეხვედრა ოთხ პარტიაში — 3:1.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა გათამაშება წაუგებლად ჩაატარა და სტუდენტთა თამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ნ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ვინაიდან ფრენბურთელთა ზონალური ტურნირი გარდამავალი საფეხური იყო უფრო ძნელი და მნიშვნელოვანი ღონისძიების — სტუდენტთა თამაშების ფინალისაკენ, ამიტომ მასში წარმატებით მონაწილეობას ერთგვარი მორალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ცხადია, თუ კარგად გამოავლენ თავს ზონალურ შეჯიბრებაში, უფრო მეტი დამაჯერებლობითა და რწმენით გამოხვალ დასკვნით ეტაპზეც — ფინალში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდმა ზონალური თამაშების უმრავლესობა ზერელედ, უპასუხისმგებლოდ ჩაატარა და განა იმიტომ, რომ მას არ შეეძლო მეტის გაკეთება? პირიქით, თბილისის ფრენბურთელები დამშვიდა იმან, რომ ისინი თავს გაცილებით უფრო ძლიერად და მომზადებულად გრძნობდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები.

რა თქმა უნდა, კარგია როცა გუნდს უგებ ადვილად, „ერთი ხელის მოსმით“, მაგრამ ამან არ უნდა მოგცეს თამაშზე მოუნდომებლად, ინერტულად გამოსვლის უფლება. საქართველოს ფრენბურთელებმა თითო პარტია წააგეს სომხეთის უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, აზერბაიჯანის ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდებთან ისე, რომ შეეძლოთ სამივე შეხვედრის „მშრალი“ ანგარიშით მოგება.

სამ ზემოჩამოთვლილ მატჩში თბილისელები მხოლოდ ეპიზოდურად თუ გააქტიურდებოდნენ. ისე კი უმთავრესად თამაშობდნენ ბურთელები დამშვიდა იმან, რომ ისინი თავს გაცილებით უფრო ძლიერად და მომზადებულად გრძნობდნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები.

ᲚᲔᲜᲘᲜᲐᲙᲐᲜᲘ. 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ „შირაქი“ (ლენინაკანი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი).

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

• • •

ᲒᲠᲝᲜᲜᲘ. 27 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, ადგილობრივმა „თერგმა“ თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდი.

თამაშში მოიგო „თერგმა“ — 4:3.

ᲩᲢᲐᲠᲯᲖᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ამთავრდა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი ფეხბურთში, რომელსაც წინ უძღოდა მატჩები ხუთ ზონაში. ფინალში მონაწილე 8 გუნდი დაყოფილი იყო 2 ქვეჯგუფად, სადაც უძლიერესებმა— თბილისის პირველმა და მეორე გუნდებმა, სამხრეთ-ოსეთისა და ზუგდიდის კოლექტივებმა გაითამაშეს ფინალური მატჩები.

სპარტაკიადაში პირველი ადგილი მოიპოვეს თბილისის პირველი გუნდის ფეხბურთელებმა (ძწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. ძიაპშიპა), მეორე ადგილზე გამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის სპორტსმენები, მესამეზე — თბილისის მეორე გუნდი.

შეჯიბრების პროცესში გამოვლინდნენ ნიჭიერი ფეხბურთელები. მათ შორის აღსანიშნავი არიან აფხაზეთის გუნდის წევრები კ. მოროზოვი (№ 3), ვ. შალამბერიძე (№ 8), რ. ჭორჩილავა (№ 4); სამხრეთ ოსეთის გუნდიდან — ი. ბიჭიკაშვილი (№ 6), მ. პაპალაშვილი (№ 9), მ. იველაშვილი (№ 10); აჭარიდან — დ. ანთიაშვილი (№ 8), თბილისიდან — უ. დარახველიძე (№ 2), დ. გელოვანიშვილი (№ 6), გ. ჩოგოვაძე (№ 9), მეკარე შ. ბურჭულაძე და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ფინალურ შეხვედრებში მონაწილე გუნდების ერთი ნაწილი (განსაკუთრებით სიღნაღის, აჭარისა და ჭიათურის კოლექტივები) სუსტად იყვნენ მომზადებული, მოთამაშეები ცუდად ფლობდნენ ბურთის მიღების, ტარებისა და გადაცემის ტექნიკას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ გუნდებში არასათანადო სიმაღლეზე დგას სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა, ყურადღება არ ექცევა სპორტსმენთა ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას.

შეიქმნა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფეხბურთელთა გუნდების ტურნირში.

Გ. ᲓᲝᲚᲔᲑᲐᲘᲐ.

ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ვაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც ვაჟთა 8 და გოგონათა ამდენივე გუნდი მონაწილეობდა, შეჯიბრების პირველ დღეს თბილისის გოგონებმა დააჭარცხეს სტალინირელები — 5:0, ხოლო ქუთაისისა და წყალტუბოს მაგიდის ჩოგბურთელებმა ასეთივე ანგარიშით ძოუგეს გორისა და აჭარის გუნდებს. აფხაზეთმა სძლია თბილისის მეორე გუნდს — 3:2.

ვაჟთა ყველა შეხვედრა დამთავრდა „მშრალი“ ანგარიშით, კერძოდ, ქუთაისმა მოუგო თბილისის მეორე გუნდს, თბილისის პირველმა გუნდმა დაამარცხა სტალინირი, აფხაზეთმა—გორი და აჭარამ—წყალტუბო. გამარჯვებული გუნდები მეორე დღეს იბრძოდნენ პირველი-მეოთხე ადგილებისათვის.

გოგონათა გუნდებს შორის უძლიერესი აღმოჩნდა ქუთაისის კოლექტივი, რომელმაც ანგარიშით 4:1 დაამარცხა თბილისისა და წყალტუბოს გუნდები და „მშრალი“ ანგარიშით — 5:0 მოუგო აფხაზეთის გუნდს. მეორე ადგილზე გამოვიდა თბილისის, მესამეზე — აფხაზეთის კოლექტივი.

თბილისის ვაჟთა გუნდმა მაღალ დონეზე ჩაატარა ყველა შეხვედრა და გაინაღდა პირველობა. მომდევნო ადგილებით დაკმაყოფილდნენ აფხაზეთისა და ქუთაისის გუნდები.

პირად პირველობაზე მონაწილე 48 სპორტსმენიდან (24 ჭაბუკი და ამდენივე გოგონა) პირველსავე დღეს გაიცხრილა ნახევარი (ოლიმპიური წესით), რის შემდეგ დარჩენილი სპორტსმენები თამაშობდნენ წრიული სისტემით.

ჭაბუკებიდან თავიდანვე დაწინაურდა გ. იზაშვილი, რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქეები და დაიკავა პირველი ადგილი. შეჯიბრების დასასრულისათვის ერთნაირი მდგომარეობა — (3-3 წაგება) ჰქონდათ თ. ნანეიშვილს (თბილისი) და სოხუმელებს გ. შუხსა და ვ. ლისენკოს, მაგრამ ვინაიდან თ. ნანეიშვილმა ადრევე მოუგო ორივე მათგანს, მეორე ადგილიც მას მიეკუთვნა. ამავე წესით მესამე ადგილზე გამოვიდა გ. შუხი, რომელმაც მოუგო ვ. ლისენკოს.

გოგონებიდან ფინალამდე დაუმარცხებლად მივიდნენ მ. ქვათაძე და დ. ხანიანი. ამ უკანასკნელთა შეხვედრაში ინიციატივა თავიდანვე პირველმა იგდო ხელთ და ორივე პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა. დ. ხანიანი გამოვიდა მეორე ადგილზე.

Ბ. ᲡᲐᲛᲡᲝᲜᲐᲫᲔ.



სურათზე: საქართველოს მოსწავლეთა X სპარტაკიადა. წყალში მხტომელთა ასპარეზობა. 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში გამარჯვებული თბილისელი მოსწავლე ა. ოორდანიშვილი ემზადება ყირიდან ხტომისათვის.

ფოტო ვ. ინწკირველისა.

ახალი წიგნები

ფიზიკური კულტურის ისტორიის შესწავლისათვის

ქართული ხალხის მდიდარი პედაგოგიური კულტურის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ძველი, ისტორიული ტრადიციების გაშუქების, ისე მოზარდი თაობის სადღეისო აღზრდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ პედაგოგიური კულტურის ისტორიის ერთერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ უბანს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია წარმოადგენს. ეს მით უფრო საკვლევია, რომ ჩვენს ხალხს ამ მხრივ უძველესი ტრადიციები გააჩნია და ეს ტრადიციები შესაფერის ასახვასა და განზოგადოებას უნდა პოულობდნენ პოპულარულ და სამეცნიერო პედაგოგიკურ ლიტერატურაში. ამიტომ მისასალმებელია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლის ო. ვახანიას მონოგრაფიის — „ფიზიკური კულტურა და სპორტი აფხაზეთში“ — გამოსვლა.

აფხაზეთში ფიზიკური კულტურის აღმოცენებისა და განვითარების პრობლემა სრულიად უკვლევია. ამ მიმართებით არ არსებობს არც ერთი ბროშურაც კი და ხავსებით გასაგებია ის სიძნელეები, რომელთა წინაშეც აღმოჩნდებოდა შრომის ავტორი.

წიგნი მთლიანად პირველწყაროების ანალიზისა და განზოგადოების შედეგია. მთავრობისა და პარტიის დადგენილებებს გარდა ავტორს დაუმუშავებია აფხაზეთის ცენტრალური არქივის, რესპუბლიკური, საქალაქო და სარაიონო ფიზიკური კულტურის კომიტეტების არქივებისა და აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები. მას შეუსწავლია აგრეთვე ხალხური ეპოსი, აფხაზ მწერალთა ნაწარმოებები, ქართული და რუსული ლიტერატურა აფხაზეთის შესახებ და სხვ.

პირველ თავში — „ფიზიკური კულტურა და სპორტი აფხაზეთში უძველესი დროიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე“ — ძველ აფხაზეთში მცხოვრები ხალხის ფიზიკური კულტურის განვითარების ისტორია ძირითადში სწორადაა ახსნილი საქართველოსა და აფხაზეთის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში. სწორადაა ნაჩვენები ფიზიკური აღზრდის დიფერენციაცია კლასობრივ საზოგადოებაში. ამ პრინციპზე, აღნიშნულ თავში, აფხაზეთის უძველეს მცხოვრებთა ფიზიკური აღზრდის დახასიათების შემდეგ, სწორადაა აღწერილი და გაანალიზებული ზღვარი მდიდართა და ღარიბთა კლასების ფიზიკურ აღზრდას შორის ფეოდალიზმის ეპოქაში. ამ პერიოდის დახასიათებისას მინიშნებულია, რომ ისე, როგორც საქართველოს სხვა მხარეებში, აფხაზეთშიც პოპულარობით სარგებლობდა უძველესი ქართული ხალხური თამაშობანი და ფიზიკური ვარჯიშობანი: „ყაბახი“, „ისინდი“, „ცხენბურთი“, უფრო მოგვიანებით — „ლელო“ და სხვ. აფხაზეთში გავრცელებული ყოფილა განსხვავებული ხალხური თამაშობანი და ფიზიკური ვარჯიშებიც. ასეთებია, მაგალითად: „აკენი“, „მცი-მცა“, „ალაბაკურსი“, „ჯიტი“, „აკებროუ“, „აიმწაკაჩარა“ და სხვ. საყურადღებოა, რომ დღევანდელ აფხაზეთში შეუდგენენ ზოგიერთი მათგანის კულტივირებას. ხოლო „აიმწაკაჩარა“ უკვე დაინერგა კიდეც სასწავლო დაწესებულებებში და ახალგაზრდობა მას დიდი გულისყურით ეკიდება.

ამავე თავში ავტორს სწორად აქვს გაშუქებული აფხაზეთში ფიზიკური აღზრდის საკითხები საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.

მეორე თავში — „საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის დასაწყისი აფხაზეთში (1921-29 წწ)“ — თანმიმდევრობით გადმოცემულია მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის ჩასახვა და განვითარება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

უკანასკნელი, მესამე თავი მიძღვნილია აფხაზეთში მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის აღმავლობისადმი 1930-41 წლებში, რასაც ავტორი ნათლად აჩვენებს საარქივო მასალების საფუძველზე. აქ განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება, საკოლმეურნეო სოფელში ფიზკულტურულ კომპლექსზე (მშთ) მუშაობა, სპორტის ცალკეულ სახეობათა განვითარება და ა. შ.

საგულისხმო ფაქტებია მოყვანილი იმის შესახებ, თუ რა დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენებმა აფხაზეთის ფიზკულტურელებს მოწინავე ტექნიკისა და ტაქტიკის დაუფლების საქმეში. შრომას ბოლოში დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის საკმაოდ მდიდარი ნუსხა.

ამ დადებით თავისებურებებთან ერთად მონოგრაფიას გააჩნია ზოგიერთი ნაკლოვანებანიც: შრომაში არაა დამაკმაყოფილებლად გაშუქებული კომკავშირის როლი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში; შეკუმშულადაა მოცემული რევოლუციამდელი აფხაზეთის ფიზიკური აღზრდის დახასიათება, თუმცა ჩანს, რომ ავტორის განკარგულებაში უამრავი მასალა ყოფილა. აქვე ავტორი რატომღაც ერთობ მკრთალად იძლევა ფიზიკური აღზრდის მიმოხილვას რევოლუციამდელი აფხაზეთის სკოლებში. წიგნი ღარიბადაა ილუსტრირებული. გარდა ამისა, შეიძლებოდა შრომის უკეთესად დახვეწა სტილისტურად.

ეს ნაკლოვანებანი ვერ არღვევენ წიგნის იმ მთლიანობას, რომლითაც იგი წყობრად გადმოგვცემს ფიზიკური კულტურის ისტორიას აფხაზეთში. ეს მონოგრაფია კარგი შენაძენია საქართველოს ფიზიკური კულტურის შესწავლის საქმისათვის.

ი. ჭკუასელი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ბარინჩა — ბრაზილიის ფეხბურთის ახალი „ვარსკვლავი“

მანოელ ფრანცისკო დოს სანტოს. რას გეუბნებათ ეს საკმაოდ გრძელი სახელი და გვარი? არაფერს. ბარინჩა — ეს კი სულ სხვაა. დღეს ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან რომ ბარინჩა — ბრაზილიური ფეხბურთის მშვენებაა, ეროვნულ ნაკრების ყველაზე აგრესიული და ტემპერამენტიანი თავდამსხმელი. „1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს წიგნში ბარინჩას სახელი ჩაიწერება დიდი ასოებით“ — განაცხადეს ფეხბურთის ცნობილმა შვედმა სპეციალისტებმა.

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა მეტად საინტერესო და უცნაური გზა განვლო უბრალო ფეხბურთელიდან ნაკრების წევრამდე. თუმცა ბარინჩას ბავშვობაში არა ჰქონია საქმე სპორტთან. ერთხელ, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, „ბოტაფაგოს“ მწვრთნელმა მიყოლებულ სოფელში მიაგნო ატლეტური აგებულების ზნგ ჭაბუკს, რომელიც არაჩვეულებრივი ოსტატობით ათამაშებდა ბურთს. მწვრთნელის გამოცდილ თვალს არ გამორჩა ჭაბუკის შესაძლებლობანი და ჩამოიყვანა ივი ქალაქში.

რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა ზანგმა (ბარინჩამ) მონაწილეობა მიიღო „ბოტაფაგოს“ სათადარიგო და ძირითად შემადგენლობებს შორის გაძართულ ამხანაგურ მატჩში. თამაშის დაწყებიდან 10 წუთი არც იყო გასული, რომ სათადარიგო გუნდმა მესამე ბურთი გაიტანა ოსტატთა კარში და ანგარიში წაიყვანა — 3:0... სამივე ბურთის ავტორი იყო ყველასათვის უცნობი ბარინჩა. მას დარაჯად ედგა ბრაზილიის ფეხბურთის სიამაყე — ნილტონ სანტოსი, მაგრამ მოუსვენარმა ბარემაბმა მაინც მოახერხა სამი ბურთის გატანა.

მწვრთნელმა გააჩერა თამაში და აღელვებულმა მიმართა სანტოსს:

— თუ არ გსურს თამაში დატოვე ახლავე მინდორი!

— როგორ არ მინდა თამაში, მაგრამ ეს ბიჭი სრულებით არ მაძლევს თამაშის საშუალებას.

მწვრთნელი მიხვდა, რომ სანტოსის სიტყვები არ იყო საფუძველს მოკლებული.

გავიდა 8 დღე და ბარინჩა ჩაირიცხა „ბოტაფაგოს“ პირველ გუნდში, ხოლო შემდგომი 14 დღის შემდეგ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს ჩაყვა შვეიცარიაში. ასეთია ბარინჩას ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო სპორტული ბიოგრაფია, რომელიც ძალზე წაგავს სხვა ბრაზილიელ ფეხბურთელთა ისტორიას.



შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

პირველი ზონა

სტალინირში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სპარტაკი“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი).

დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს სტუდენტებმა — 2:1.

საინტერესოდ მიმდინარეობდა მატჩი სოხუმში ადგილობრივ „დინამოსა“ და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდს შორის. თამაშის პირველი ნახევარი მოიგეს სოხუმელებმა — 2:1. შესვენების შემდეგ განმეორდა ასეთივე ანგარიში სტუმართა სასარგებლოდ. მატჩის საერთო შედეგია 3:3.

კარგად ჩაატარა თავისანი მორიგი შეხვედრა ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის (თბილისი) გუნდმა თელავის „სპარტაკის“ წინააღმდეგ. თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 6:1.

ფრედ — 2:2 დამთავრდა მატჩი ქუთაისში ადგილობრივ „დინამოსა“ და ქობულეთის „კოლმეურნეს“ შორის.

მეორე ზონა

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდმა თავის მინდორზე დაამარცხა ზუგდიდის „ოდიში“ — 2:1.

ქუთაისის „ტორპედოს“ თავისი მორიგი მატჩი ჰქონდა ლანჩხუთში ადგილობრივი „კოლმეურნის“ წინააღმდეგ. ორივე გუნდმა დაჰკარგა ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა და შეხვედრა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

ახალ წარმატებას მიაღწიეს ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელებმა. ჰათ თავიანთ მინდორზე მიიღეს ფოთის გუნდი და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:2.

სამტრედიაში თამაშობდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“. 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა—0:0.

მახარაძის „კოლმეურნემ“ თავის მიხდორზე მიიღო რუსთავის „სხივი“, ერთადერთმა ბურთმა, რომელიც გატანილ იქნა „სხივის“ კარში, გამარჯვება მოუტანა „კოლმეურნეს“.

მეორე ჯგუფი. I ზონა. „იმერეთი“ (ზესტაფონი)-„სპარტაკი“ (საჩხერე) — 4:1; „ცისკარი“ (ბათუმი)-ადგ. მრეწვ. სამმართ. (ქუთაისი)—2:0.

II ზონა. „განთიადი“ (ბათუმი)-„კოლმეურნე“ (ოჩამჩირე) — 1:2; „გუდაუთა-„კოლმეურნე“ (გალი) — 2:1, სამშ. უბანი № 2 (გაგრა)-„ბახმარო“ (ჩოხატაური) — 5:0, „განთიადი“ (ტყვარჩელი)-„კოლხიდა“ (ხობი)—0:2.

III ზონა. „ჩანჩქერი“ (ბორჯომი)-„ტორპედო“ (თბილისი)—1:2, „კოლმეურნე“ (გურჯაანი)-„ლოკომოტივი“ (ბაშური)—3:1, ადგ. მრეწ. სამმართ. (თბილისი)-ახალგ. საფეხ. სკოლა II (თბილისი) — 2:1.

IV ზონა. „მშენებელი“ (რუსთავი)-„ლოკომოტივი“ (გურჯაანი) — 2:0, „წინანდალი“ (თელავი)-სკვო II (თბილისი) — 0:3.

მესამე ჯგუფი. I ზონა. „ჩანჩქერი“ (ლაგოდეხი)-„შორაჟი“ (წითელწყარო) — 3:1, „კოლმეურნე“ (გარდაბანი)-„არაგვი“ (მცხეთა) — 2:1, კაჟრეთი-„კოლმეურნე“ (ქისტაური) — 1:2.

II ზონა. „კოლმეურნე“ (წალკა)-„კოლმეურნე“ (ადიგენი) — 1:1, თეთრი წყაროო-„მოტორი“ (ახალციხე)—5:1, ასპინძა-„კოლმეურნე“ (დმანისი) — 6:2, ბოგდანოვკა-„არაგვი“ (დუშეთი) — 0:0, მტს-ი (ადიგენი)-ახალქალაქი — 5:0.

როცა მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო

„ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა ქალაქის პირველობის დასკვნითი მატჩი ხელბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდები, რომელთა შორის გამარჯვებულს მაენიჭებოდა ქალაქის ჩემპიონის სახელი, რადგან ეს გუნდები ფინალამდე ერთნაირი მაჩვენებლებით მივიდნენ. ანგარიში გახსნეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა (გოგებაშვილი), მაგრამ მალე ჯანგოვაძემ გაიტანა საპასუხო ბურთი, ხოლო შემდეგ წინ გაიყვანა ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი. პირველი ნახევარი დამთავრდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სასარგებლოდ — 4:2.

მეორე ნახევარში იგითხანოვმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) ერთი ბურთის გაქვითვა შეძლო, რაშიც გარკვეული წვლილი მიუძღვის ფიზკულტურის ინსტიტუტის შეკარის ვაჟარაძის შეცდომას. მეორე ნახევრის მე-15 წუთზე საკის მოულოდნელმა ნასროლმა მიზანს მიაღწია და ანგარიში გახდა 5:3. ეს იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის უკანასკნელი წარმატება. მაშინ, როცა შეხვედრის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის მოთამაშეებმა ხატისკაცმა, გოგებაშვილმა და ანთაძემ სამი ბურთის გატანა შეძლეს და მატჩი დამთავრდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გამარჯვებით 6:5.

შ. ჭართველიშვილი.

სურათზე: ო. მელია ცეცხლის ხაზზე.

ფოტო კ. მიტროფანოვისა.

მოსკოვის მახლობლად დამთავრდა დოსაფის საკავშირო პირველობა ტყვიით სროლაში. არმიული პისტოლეტიდან მრგვალ სამიზნეებზე და სილუეტებზე სროლაში საქართველოს გუნდის წევრმა სპორტის ოსტატმა ო. მელიამ 600 შესაძლებლიდან მოაგროვა 585 ქულა და დამყარა რესპუბლიკის ახალი რეკორდი.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.მგ. მდივნისა და განყოფილებების—3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამ. მცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03905